როგორ მიიღება გადაწყვეტილებები საქართველოში, საფინანსო დაწესებულებებში , ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური მენეჯმენტის საშუალებით.

მარიამ ხუსკივაძე

სამაგისტრო ნაშრომი

„ სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის მართვისა და ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად “

ბიზნესის , ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

პასუხისმგებლობას ვიღებ, რომ მოცემული ნაშრომი არ წარმოდგენს სხვა პიროვნებების მიერ დაწერილ მოსაზრებებს. სხვადასხვა სტატიების და სამეცნიერო ნაშრომების განხილვის შედეგად წარმოდგენილი მაქვს სრულად ჩემი მოსაზრებები,სხვა შემთხვევაში დამოწმებული მაქვს აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად.

მარიამ ხუსკივაძე

30/04/2023

აბსტრაქტი

საფინანსო დაწესებულებებში გადაწყვეტილებები მიიღება ჰორიზონტალური ან ვერტიკალური მენეჯმენტის საშუალებით, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილებას იღებს ერთი კონკრეტული პიროვნება, ან თანამშრომლები მუშაობენ დამოუკიდებლად მათზე ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე. მეთოდს კი რომლის საშუალებითაც იმართება კომპანიები ირჩევენ პასუხისმეგებლი პირები, ასეთები კი არიან მაღალი დონის მენეჯერები.

კვლევის მიზანია თეორიულად მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე მივიღოთ კითხვაზე პასუხი როგორ იმართება საფინანსო დაწესებულებები? აქვთ თუ არა დასაქმებულებს საშუალება გადაწყვეტლებები მიიღონ დამოუკიდებლად? როგორ პირობებში მუშაობენ დასაქმებულები და არის თუ არა ისეთივე საინტერესო და სასიამოვნო პროცესები საფინანსო დაწესებულებებში, როგორც ეს ერთი შეხედვით მომხმარებლის თვალით ჩანს.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდის საშუალებით,თუმცა მოიცავდა ასევე ღია კითხვებს , სადაც რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ პასუხები მათ კომპანიაში არსებულ მდგომარეობაზე. შეირჩა თითქმის ყველა ორგანიზაციიდან დასაქმებული, რომელიც არის საშუალო რგოლის წარმომადგენელები, რადგან კვლევის პასუხი ზუსტად ასახადვეს იმ მდომარეობას რაც რეალურად არსებობს. კვლევისათვის გამოყენებულია კითხვარი, რომელიც დაეგზავნა ინტერნეტ სივრცეში საბანკო სექტორში დასაქმებულებს.

საძიებო სიტყვები: საფინანსო დაწესებულებები, ჰორიზონტალური მენეჯმენტი, ვერტიკალური მენეჯმენტი, გადაწყვეტილებები.

Abstract

In financial institutions, decisions are made on the basis of horizontan or vertical management, which means that decisions are made by one specific person or employees work based on the obligations assigned to them. The method by wchich the companies are managed is chosen by the responsible person, which are high level managers.

The purpose of the research is to get an answer to the question of how financial institutions are managed based on the analysis of theoriticallu received informations. Do employees have the right to nrecieve decisions on their own? Under what conditions do the employees work and are the processes of financial institutions as interesting and pleasant as it can be seen from the eyes of the customer with one touch?

The research was conducted using a quantitave method, athought it also included pheasants, where the respondents were able to recors their response to the situations in their company.A person employed in an avarige positions from almost every organizations was selected because the answers accurateli reflect the situations that actually exists.A questionnaire was used for the research, which was sent to employees in the bankis sectors via the internet.

Search words: financial institutions, horizontan management, vertical management, decisions.